## მონიტორინგის ანგარიში № 2

| | |
|---|---|
| **აუდიტის ანგარიშის №** | 2 |
| **თარიღი:** | 22 ნოემბერი 2019 / 10:30 – 18:00 |
| **ორგანიზაციის დასახელება:** | Maritime Lloyd |
| **მონიტორინგის ჯგუფი:** | დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, მარია პოლიაკოვა, ნინო ასათიანი |
| **აუდიტის მოცულობა:** | საზღვაო კოდექსი, ხელშეკრულება |

### 1. <u>შედეგები:</u>

1. **ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება** – 2019 წლის სექტემბრიდან კომპანია შეუდგა სისტემის შეცვლას, რაც დასტურდება რიგი პროცედურის ცვლილებით. გაერთიანდა რამდენიმე პროცედურა, კერძოდ, დოკუმენტთა მართვის პროცედურა, სადაც შესულია როგორც დოკუმენტების შემუშავების, ასევე დოკუმენტის შენახვის პროცედურა (Storage, Control and Retention of Doc. Information – ML-QSP-008 – 03.09.2019). შემუშავდა და დამტკიცდა Leadership procedure – ML-QSP-014 – 03.09.2019. შეცვლილია პერსონალის სამუშაო აღწერილობები (შიდა აუდიტორის - 03/09/2019 - რევ. N3 / სურვეერი - რევ. 3 – 03/09/2019). ხარისხის სახელმძღვანელო გაუქმდა 2019 წლის სექტემბერში. წარმოდგენილია მიმოწერა სასერტიფიკაციო ორგანიზაციასთან - ISOQAR – 17/09/2019.
   **ფასდება დადებითად**

2. **შიდა აუდიტი** - შიდა აუდიტის პროცედურა განახლებულია 03/09/2019 - რევ. 5 – ML-QSP-009. პროცედურის მე-3 პუნქტის თანახმად შიდა აუდიტის პერიოდულობა განსაღვრულია წელიწადში 2-ჯერ, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით (10/01/2019 და 10/06/2019). შიდა აუდიტი ჩატარებულია უშუალოდ წინა დირექტორის მიერ, რომელიც იმ დროს ასევე ასრულებდა წამყვანი აუდიტორის როლს. დანიშნულია დამოუკიდებელი შიდა აუდიტორი (ლიკა ქათამაძე - პირადი საქმე).
   **ფასდება დადებითად**

3. **შემაჯამებელი მიმოხილვა** - შემაჯამებელი მიმოხილვის პროცედურა, რევ N 4 / 03/09/2019 – ML-QSP-023. პროცედურის დასაწყისშივე მითითებულია პ. 1 - მიზნები - შემაჯამებელი მიმოხილვა ტარდება ყოველი წლის იანვარში. შემაჯამებელი მიმოხილვა ჩატარდა სექტემბერში. შემომავალ მონაცემებში შესულია ისო 9001-ის მოთხოვნები, რომელიც რეგულირდება N 9.3 პუნქტით. შემაჯამებელი მიმოხილვა შეიცავს გადაწყვეტილებებს ახალი კადრის აყვანის შესახებ, ტრეინინგების გავლის საჭიროების შესახებ და რესურსების ადეკვატურობაზე. განხილულია შიდა და გარე ფაქტორები. არ ჩანს დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაცია. სექტემბრის ბოლოს დაგზავნილი მომხმარებელთან უკუკავშირის მიღებისთვის გამოკითხვის ფორმა (წარმოდგენილია ჰიდროგრაფიის სამსახურიდან მიღებული უკუკავშირი, ბათუმის ნავსადგურიდან, ოსკარ შიპინგ კომპანიიდან, შავი ზღვის ტერმინალიდან). საზღვაო სააგენტოში არ იყოს დაგზავნილი.
**შენიშვნა - ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული მხარე არის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რის მოთხოვნა და მოლოდინი უნდა განიხილებოდეს შემაჯამებელი მიმოხილვის დროს.**

4. **გარე აუდიტის შედეგები** - საზედამხედველო აუდიტი ჩატარდა 15/07/2019 ISO QAR-ს მიერ. საზედამხედველო აუდიტი დასრულდა შენიშვნებისა და რეკომენდაციების გარეშე.
**შენიშვნა არ გაგვაჩნია.**

5. **რისკები** - რისკის მატრიცა შემუშავებულია, განმარტებულია რისკის ალბათობისა და გავლენის საკითხები. რისკები ჩაშლილად გაწერილია თითოეული პროცესის მიერ. შემუშავებულია რისკის მოპყრობის გეგმა, სადაც რისკის სირთულიდან გამომდინარე დაგეგმილია რიგი ღონისძიება (ML-QSP-031 – issue 1 – issue date – 03/09/2019) – Quality Assurance process – risk – non achievement of quality objectives – effect – complaints to be raised by the shareholders – NC raised by ISO certification body – risk amplitude 9 – decision – follow plan – CEO is in charge for this. Risk - Withdrawal of recognition from Flag State – Effect – Could not provide services under such Flag State – risk amplitude 20 – Imimmediately start negotiation with FS – risk treatment – make changes to the agreement, TWP (technical working procedures); rules, change vessel flag).
**შენიშვნა არ გაგვაჩნია.**

6. **სურვეერების კვალიფიკაცია** - შემოწმებულ იქნა ინსპექტორთა/სურვეერთა გადამზადების მიზნით არსებული ტრეინინგების დოკუმენტაცია. დადგენილი ტრეინინგ გეგმა 2019 წლის 1 იანვრიდან 3 სექტემბრის ჩათვლით არ იყო

წარმოდგენილი. მიმდინარე წლის 3 სექტემბერს შემუშავებულ იქნა 2019 წლის გეგმა, გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულებები შესრულებულია და ორგანიზაციის წარმოამადგენლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრეინინგები: Ballast Water Management, ISM Code, ISPS Code, და MLC 2006.

**შენიშვნა არ გაგვაჩნია.**

7. **სურვეერების კვალიფიკაცია** - შემოწმებული იქნა სურვეერების შერჩევის, მომზადების, უფლებამოსილების გადანაწილებისა და მათი მონიტორინგის პროცედურები ML-QSP-016. რისი შემოწმების შედაგადაც გამოიკვეთა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ აუყვანიათ შიდა ნაოსნობისთვის განკუთვნილი სურვეერები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის პროცესში შიდა ნაოსნობაში სურვეერების საკითხი არ იყო შესწავლილი.**

8. **სურვეერების კვალიფიკაცია** - შემოწმებული იქნა სურვეერების - პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია, მომზადება და გამოცდილება, რომელიც მოითხოვება შემოწმების ჩატარებისთვის. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს მატრიცა recruitment resources ML-QSP-016, რომლის საფუძველზე განსაზღვრულია არის სურვერეების უფლებამოსილებები მათი კომპეტენციიდან გამომდინარე. რადიო სურვეერს არ აქვს გავლილი გადამზადების კურსები ან ტრეინინგი რადიო მოწყობილობებთან დაკავშირებით, შიდა ნაოსნობაში ის ამოწმებს მხოლოდ AIS, VHF, GMDSS.

**ეძლევათ რეკომენდაცია და უზრუნველყოს 2020 წლის ბოლომდე რადიო სურვეერის დატრეინგება ან გადამზადების კურსების გავლა.**

9. **სურვეერების კვალიფიკაცია** - შემოწმებული იქნა ორგანიზაციის პროცესი თითოეული სურვეერის ადგილზე შემოწმება, ორგანიზაციას შემუშავებული აქვს პროცესი Training and Development ML-QSP-010 გაწერილია არის ტრეინინგ გეგმა 3.3.2, ხოლო ქვე პროცესით 3.3.3 ტრეინინგის ტიპები „on the job training", რის მიხედვით სურვეერს ამოწმებენ „on the job training" საფუძველზე. გამოვლინდა რომ არ ხორციელდება სურვეერის ადგილზე შემოწმება და ასევე არ არის გაწერილი სურვეერის ადგილზე შემოწმების პროცედურა.

**აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციას მიეცეს შენიშვნა.**

10. **საკლასიფიკაციო საზოგადოების წესები** - აუდიტის პერიოდში გადაიხედა საკლასიფიკაციო საზოგადოების წესები, აღმოჩენილი იქნა რიგი ხარვეზები კონვენციების დასახელებებთან დაკავშირებით, წესები არის მოძველებული და საჭიროა წესების განახლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
**ორგანიზაციას 2020 წლის სექტემბრის ბოლომდე ეძლევა რეკომენდაცია წესების განახლებასთან დაკავშირებით და შეთანხმებისთვის გამოგზავნა სააგენტოში.**

11. **მონაცემთა ბაზა** - შემოწმებულ იქნა მცურავი საშუალებების მონაცემთა ბაზა. არსებული ბაზა დაყოფილია გემების კატეგორიებისა და წლების მიხედვით და ინახება სერვერზე.
**შენიშვნა არ გაგვაჩნია და ფასდება დადებითად.**

12. **ვერტიკალური აუდიტი** - მიმდინარე წლის 5 ნოემბერს საკლასიფიკაციო საზოგადოებას ჩაუტარდა ვერტიკალური აუდიტი სააგენტოს ინსპექტორის ზედამხედველობის ქვეშ, მცურავ საშუალება „დ.ჰ.კ-81"- ზე, ფოთის ნავსადგურში. ინსპექტირების დროს შემოწმდა მცურავი საშუალების შემდეგი მოწყობილობები; მთავარი ძრავი, დიზელ გენერატორი, ღუზის მოწყობილობა, სახანძრო ტუმბო, საჭის მოწყობილობა და რადიო სანავიგაციო მოწყობილობები. ასევე განხორციელდა გემის კორპუსის, გემბანის და სამანქანე განყოფილების გემის ვიზუალური დათვალიერება, კორპუსის, გემბანის და სამანქანე განყოფილების.
**ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დანადგარები და სანავიგაციო აღჭურვილობა არის მუშა მდგომარეობაში და ყველა შესაბამისი პარამეტრები ნორმაშია უსაფრთხო ნაოსნობის განსახორციელებლად. შენიშვნა არ გაგვაჩნია და ფასდება დადებითად.**

## 2. დასკვნა

2019 წლის აუდიტი ადასტურებს, რომ საკლასიფიკაციო საზოგადოებაში დანერგილი სისტემა ეფექტურად მუშაობს. ორგანიზაცია გადადგამს ნაბიჯებს სისტემის გაუმჯობესებისთვის, მონიტორინგის ჯგუფი საერთო ჯამში დადებითად აფასებს ორგანიზაციის სისტემას და განვითარებაზე ორიენტირებას, ორგანიზაციას უგრძელდება აღაირება სააგენტოს მიერ.

## 3. დამატებითი მოთხოვნები

| |
|---|
| საქართველოს საზღვაო კოდექსის 44[9] მუხლის შესაბამისად სააგენტოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების მქონე აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოსთვის ყოველწლიურად ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხის მართვის სისტემის შედეგები. აღნიშნული ვალდებულება არ სრულდებოდა აღიარებული ორგანიზაციის მხრიდან. 2020 წლიდან საზღვაო კოდექსის მოთხოვნას მიეცეს სისტემატიური ხასიათი და სააგენტოს წარედგინოს შემაჯამებელი მიმოხილვის შედეგად დასახული მიზნები, შიდა და სასერტიფიკაციო აუდიტის დასკვნები. |

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე

ირაკლი სირაბიძე

მარია პოლიაკოვა

ნინო ასათიანი

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 13/01/2020

საკლასიფიკაციო ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):